ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲒᲜᲘᲫᲔ

**ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI)**

**აღმასრულებელ დირექტორს, ბატონ გიორგი კლდიაშვილს**

**მპგ „შეცვალე საქართველოს“ თავმჯდომარის**

**გიორგი გაგნიძის**

**წერილი**

მოგესალმებით ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ ჩვენ ვართ ახლად ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია „შეცვალე საქართველო“, რომელსაც მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება აქვს დაგეგმილი საქართველოში დემოკრატიის გაძლიერების მიმართულებით, მათ შორის, ელექტრონული არჩევნებისა და რეფერენდუმის სისტემის შემოღების კუთხით - ჩვენი იურისტები უკვე მუშაობენ პირველ სარეფერენდუმო პროექტზე.

გვესაჭიროება თქვენი კონსულტაცია სახელმწიფო სტრუქტურებში საინფორმაციო ვაკუუმის გარღვევასთან დაკავშირებით, რათა გამოვიყენოთ აღნიშნული შესაძლებლობა და მოვახდინოთ საქართველოს მოსახლეობის უფრო ეფექტიანად ინფორმირება მათ ხელთ არსებული დემოკრატიული ბერკეტების შესახებ.

გთხოვთ შეხვედრას (თქვენთან ან ნებისმიერ თქვენს კომპეტენტურ წარმომადგენელთან).

მადლობა წინასწარ!

**პატივისცემით,**

**მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების**

**თავმჯდომარე:** **გიორგი გაგნიძე**

**04.03.2021**

ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. 14. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 0108, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

+995 32 298 21 21 • 21@modefy.world

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ „ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“

WWW.MODEFY.WORLD